ხელშეკრულება № 51

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ოზურგეთი 23 დეკემბერი 2016 წელი.

ერთის მხრივ, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ. ამირან თოიძის სახით და მეორეს მხრივ,საქართველოს ი/მ. ,,კახა კანდელაკი" ს.კ.33001007301 (შემდგომში - მიმწოდებელი) , „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სამეურნეო საქონელი (CPV–31300000,31500000.44100000,44400000,39200000,--------------------)ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს153(ასორმოცდაცამეტი ლარი)ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ოზურგეთი, სოფელი მაკვანეთი).

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს

მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 24 იანვრის ჩათვლით. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღმატებოდეს მომსახურების მიღების ვადას)

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ–ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთის საჯარო სკოლა.<br>მის: ოზურგეთი, სოფელი მაკვანეთი<br>ს/კ.237102069<br>ტელ:577941158<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>,,ვი–თი–ბი ბანკი ჯორჯია" ოზურგეთის ფილიალი<br>ბანკის კოდი UGEBGE22<br>ა/ა .GE61VT4300000000083408 | ი.მ.,, კახა კანდელაკი"<br>ოზურგეთი,გურიის ქ.4<br>ს.კ.33001007301<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს ს ,, ვი თი ბი ბანკი ჯორჯია" ოზ.ფილიალი<br>ბანკისკოდიUGEBGE22<br>ა/აGE65 VT4300000005823602 |
| დირექტორი: ამირან თოიძე<br>_______________<br>(ხელმოწერა) ბ.ა | მიმწოდებელი: კახა კანდელაკი<br>_______________<br>(ხელმოწერა) ბ.ა |

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ელ.სადენი ორმაგი იზოლაციით | მეტრი | 120 | 1,10 | 132 |
| 2 | როზეტი ვიკო | ცალი | 3 | 3,50 | 10,50 |
| 3 | ჩამრთველი ვიკო –1 იანი | ცალი | 3 | 3,50 | 10,50 |
| სულ: | | | | | 153 |

სოფელ მაკვანეთის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ: / ამირან თოიძე/

ინდივიდუალური მეწარმე: /კახა კანდელაკი/

## მიღება–ჩაბარების აქტი

ოზურგეთი. 23 დეკემბერი 2016წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ–ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთის საჯარო სკოლა (შემდგომში–შემსყიდველი), მისი დირექტორის მ/შ. ამირან თოიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ ი.მ. კახა კანდელაკი (შემდგომში–მიმწოდებელი), ვადასტურებთ რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა , ხოლო შემსყიდველმა მიიღო 2016 წლის 23 დეკემბრის N 51 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვა, თანხით 153(ასორმოცდაცამეტი ლარი) ,სასაქონლო ზედნადები –N 0280306742

*აღნიშნულის სინამდვილეს ვადასტურებთ:*

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ–ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთის საჯარო სკოლა.<br>მის: ოზურგეთი, სოფელი მაკვანეთი<br>ს/კ.237102069<br>ტელ:577941158<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>,,ვი–თი–ბი ბანკი ჯორჯია" ოზურ.ფილ<br>ბანკის კოდი UGEBGE22<br>ა/ა .GE61VT4300000000083408 | ი.მ.,, კახა კანდელაკი"<br>ოზურგეთი,გურიის ქ.4<br>ს.კ.33001007301<br><br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს ს ,, ვი თი ბი ბანკი ჯორჯია" ოზ.ფილიალი<br>ბანკისკოდიUGEBGE22<br><br>ა/აGE65 VT4300000005823602 |
| დირექტორი: ამირან თოიძე<br>ა. თოიძე<br>(ხელმოწერა) ბ.ა | მიმწოდებელი: კახა კანდელაკი<br>(ხელმოწერა) ბ.ა |